საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 3 23 0001720698

15/12/2023

აღრიცხვის და დაბეგვრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2023 წლის 28 ნოემბრის №1613399 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 და მე-14 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აღრიცხვის და დაბეგვრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლი დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული აღრიცხვის და დაბეგვრის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.
3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში" აღრიცხვის და დაბეგვრის დეტალური სწავლის სფეროს ასახვიდან 1 წლის ვადაში, აღრიცხვის და დაბეგვრის დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისად შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელთან, გარდა ამ ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.
4. თუ აღრიცხვის და დაბეგვრის დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისად შემუშავებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო პროგრამამ/პროგრამებმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების

კლასიფიკატორში" აღრიცხვის და დაბეგვრის დეტალური სწავლის სფეროს ასახვიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში უნდა გაიაროს აკრედიტაცია, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენისას საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან.

5. თუ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორში" აღრიცხვის და დაბეგვრის დეტალური სწავლის სფეროს ასახვიდან ცენტრს სააკრედიტაციო განაცხადი წარედგინება აღრიცხვის და დაბეგვრის დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისად შემუშავებული ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების თაობაზე, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

6. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

7. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ